



კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების
მეთოდოლოგია

დამტკიცებულია რექტორის 2021 წლის 10 თებერვლის #0221-11 ბრძანებით

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი განსაზღვრავს რეგულაციებს რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.
- 1.2. სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება გულისხმობს სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდაჭერას მათი განსაკუთრებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით.
- 1.3. თითოეულ შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.
- 1.4. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (შემდგომში - „სსსმ“) პირი ესაა პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი) ან/და პირი, რომელიც საჭიროებს გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას;

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

- 2.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს სასწავლო კურსების ერთობლიობას, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების ინტერესებს, განსხვავებულ მოთხოვნებს, საჭიროებებსა და აკადემიური მომზადების დონეს.
- 2.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანია, სტუდენტების სასწავლო პროცესში სრულფასოვანი, აქტიური, ეფექტიანი და შეუფერხებელი ჩართვა, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტის ხელშეწყობა და სათანადო პირობების შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისთვის, რაც გულისხმობს სტუდენტების მაქსიმალურ მხარდაჭერას საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსებით (სილაბუსები) გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში და სტუდენტური სერვისების თანაბრად მიღების კუთხით შესაბამისი პირობების შექმნის თვალსაზრისით.
- 2.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების, სხვადასხვა აკადემიური მომზადების დონის მქონე სტუდენტისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე/გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტისთვის, შიდა და გარე მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის, აკადემიური ჩამორჩენილობის (მათ შორის, სტუდენტი, რომელმაც ვერ დაძლია სასწავლო კურსით განსაზღვრული წინაპირობები, რის გამოც შემდეგი დონის სასწავლო კურსების გავლის საშუალება არ მიეცა/დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი, რომელმაც დადგენილ ვადაში ვერ დააგროვა საგანმანათლებლო

პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა) ან განსაკუთრებული აკადემიური მიღწევების მქონე, სტატუსადდგენილი სტუდენტებისთვის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების, საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში და სხვა ობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევებში.

2.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად.

2.5. სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა არ შეიძლება აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცედურები

3.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.

3.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების შემთხვევაში სემესტრის დასაწყისში, ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის თხოვნით. განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება. განცხადებას თან უნდა ერთოდეს მასში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები.

3.3. სტუდენტის განცხადების და თანმხლები დოკუმენტების განხილვის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და ამ გეგმით სწავლის გაგრძელების შესახებ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე უარის შესახებ. თითოეული განცხადება განიხილება ინდივიდუალურად და გადაწყვეტილების მიღება ხდება გარემოების ყოველმხრივ და ობიექტურად შეფასების საფუძველზე.

3.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება დეკანის ხელმძღვანელობით, რა დროსაც გაითვალისწინება სტუდენტის ინტერესები.

3.5. გეგმის შემუშავებაში ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით მონაწილეობა შეიძლება მიიღონ: პროგრამის ხელმძღვანელმა, სასწავლო კურსების განმახორციელებელმა პერსონალმა, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელმა და საჭიროების გათვალისწინებით სხვა კომპეტენტურმა პირებმა.

3.6. საბოლოო გადაწყვეტილებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელებაზე იღებს სტუდენტი.

3.7. სტუდენტთან შეთანხმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით, რომელიც დაერთვება და ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

- 3.8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, უნდა იყოს დროში გაწერილი და მიღწევადი, ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის კანონიერი ინტერესები.
- 3.9. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში შეიძლება მითითებულ იქნას სასწავლო კურსის/კურსების სახელწოდება, კრედიტების მოცულობა, სწავლების სემესტრი, სწავლა- სწავლების, შეფასების სათანადო ფორმები და პირობები, ასევე საგამოცდო დრო. სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო განსხვავებული მოთხოვნები მატერიალური რესურსის მიმართ და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფით შესაძლებლობა და სხვ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შინაარსი და სტრუქტურა დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებებზე.
- 3.10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფას, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად, ხელს უწყობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული მათი კომპეტენციის ფარგლებში.

4. დასკვნითი დებულებები

- 4.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია მუდმივად განვითარებადი დოკუმენტია და მასში შესატანი ცვლილებები უნდა განხორციელდეს ყველა შესაბამისი კომპეტენციისა და ინტერესის მქონე მხარესთან კონსულტაციის საფუძველზე.
- 4.2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.